

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების საერთო პირობების დანართში N18 - ტელეფონ
ბანკი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება/დამატება:**

1. დაემატოს **6 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
6. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკთან ტელეფონ ბანკით** მომსახურების ფარგლებში. კერძოდ კი, **ბანკის ვებ-გვერდზე** განთავსებულ **ბანკის** ხაზინის საკონტაქტო ნომერზე დარეკვით და **ბანკის** მიერ დადგენილი სტანდარტული იდენტიფიკაციის გავლის შემდგომ, სატელეფონო კომუნიკაციით შეთანხმოს **ბანკთან** თანხის სტანდარტული კურსისგან განსხვავებული კურსით, **კონვერტაციის** გარიგების დადების შესაძლებლობა. **ბანკში** დადგენილი სტანდარტული კურსისგან განსხვავებული კურსით, **კონვერტაციის** პირობების შეთანხმების შემთხვევაში, **კლიენტი** კისრულობს ვალდებულებას შეთანხმებით განსაზღვრული პირობების დაცვით და ვადაში დააკონვერტიტროს შეთანხმებით განსაზღვრული თანხის ოდენობა, შეთანხმებული კურსით, ხოლო **ბანკი** კისრულობს ვალდებულებას შეთანხმებით განსაზღვრული პირობების დაცვით და ვადაში დააკონვერტიროს **კლიენტის** მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობა, **კლიენტის** დამატებითი მომართვის საფუძველზე **კლიენტისთვის** სასურველი არხით. ამასთან, შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში, **კონვერტაციის** განხორციელებამდე **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისთვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეცვალოს შეთანხმების პირობები.